№ 21 27 იანვარი, შაბათი 1866—1879 27 იანვარი, შაბათი № 21

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მ. ნ., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** წვრილ-ასო-ებით ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

[stamp]



## განცხადება

კვირას, 4 თებერვალს, თბილისის კრუჟოკში იქნება

## ბალი

იმ შკოლის სასარგებლოდ, რომელსაც ხსნის „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

**შესასვლელი ფასი ქალებისა და კაცებისათვის 2 მანეთი.**

ბალი დაიწყობა საღამოს 9 საათზე.

ქალებს შეუძლიანთ გულ-დახურულ კაბებით შევიდნენ.

ვისაც ჰსურს წინათვე აიღოს შესასვლელი ბილეთი, შეუძლიან მიმართოს კნ. გ. გ. ბარათაშვილისას, კნ. ბ. მ. ანდრონიკაშვილსას და აგრეთვე „საზოგადოების“ გამგებელ კომიტეტის წევრთ, ბალის დღეს კი კრუჟოკის შვეიცარს.

(3—2)



## ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პარიჟი,** 25 იანვარს. დღეს ნაციონალურს კრებაში და სენატში წაიკითხეს რესპუბლიკის პრეზიდენტის გრევის ეპისტოლე, რომელშიაც ის აცხადებს, რომ ზომიერს, მაგრამ მტკიცე ლიბერალურ პოლიტიკას დაადგებდა და ეცდება საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებას. ნაციონალურს კრებაში გრევის ეპისტოლე ალტაცებითა და ტაშის-კვრით მოისმინეს.

იმავე სხდომაზედ ნაციონალურ კრების თავსმჯდომარემ გამბეტტამ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც დაუმადლა კრებას თავსმჯდომარედ ამორჩევისათვის და შემდეგ სთქვა: საფრანგეთს ჰსურდა და ჰსურს რესპუბლიკა; დეპუტატებსაც ჰსურთ, იმათ დაიცვეს რესპუბლიკის საქმე. მშვიდობიანობა დაცული იქნება, აგრეთვე საზოგადო დანდობაზედ და სამართლიანობაზედ დამყარებული თავისუფლება.“

კრებამ სამშაბათამდინ შესწყვიტა სხდომები; სამშაბათს ბიუჯეტის კამისიის არჩევა იქნება.

**ბერლინი,** 25 იანვარს. გუშინ მოკვდა აქ თ. ბისმარკი.

**პეტერბურღი,** 23 იანვარს. სასამართლომ გარდაუწყვიტა კასსირს იუხანცევს, ორი მილიონი მანეთის შეჭმისათვის, ყველა ღირსების ჩამოხდა და ციმბირში გაგზავნა.

მეკლენბურგ შვერინის გერცოგი თავის მეუღლით სამზღვარ გარეთ წავიდნენ.

**პარიჟი,** 24 იანვარს. დაწესდა ფოჩტისა და ტელეგრაფის სამინისტრო; მინისტრად დანიშნულია კოტრი.

## საქართველო

### დღიური

*** გუშინდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური შენიშვნა იმ უწესოებების თაობაზედ, რომელიც ამ უკანასკნელ დროს მოხდა ბათუმის სამხედრო მაზრაში:

„ჩვენი და ოსმალეთის სამზღვრების გამოურკვევლობამ და ოსმალეთიდამ მოსულ ხალხის წაქეზებამ დაბადა ახლად შემოერთებულ ბათუმის მაზრაში რამდენიმე უწესოება აი რა მოხდა:

„შარშან 8 ნოემბერს, აჭარის სოფლის ჭვანის მცხოვრებლებმა გამოუცხადეს ადგილობრივ ოკრუღის უფროსს, რომ იმათ არა ჰსურთ, რომ იქ იყოს დაყენებული რუსის ჯარი. შემდეგ ტბეთის, ჭვანისა და მირათის-ხევის მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გამოაცხადეს აღწერის თაობაზედ და იმ ხარჯის (თაზშირის) გადახდაზე, რომელსაც ადრე ოსმალეთის მთავრობას აძლევდენ; ტბეთის ხევის მცხოვრებლები დაეცნენ ჰაჯი-შირინ-ალის სახლს, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ამ აღწერის მოხდენა.

ამ არეულობის დროს მოკლეს ძლიერ გავლენიანი კაცი, მხოვრებელი ზემო-აჭარისა გულო-ალა, რომელიც ხალხის დასამშვიდებელად იყო ოკრუღის უფროსისგან სოფ. დანდალოში გაგზავნილი.

## მწერლობა

**ალმანახი** შედგენილი გ. თუმანიშვილისაგან. გამოცემული გრ. ჩარკვიანისაგან. თფილისი 1879.

დიდის მოუთმენლობით მოველოდით თავ. გ. თუმანიშვილის „ალმანახს“ და უდიდესის სიამოვნებით წავიკითხე ეს პატარა წიგნი. ჩვენს ჭკუით ღარიბს მწიგნობრობაში როგორის წიგნის გამოსვლა ისეთ იშვიათ შემთხვევათ შეიქმნა, რომ რეცენზენტს ამისთანა მოვლინება ერთ რამ დღესასწაულად მიაჩნია.

ახალი „ალმანახი“ შარშანდელი პროგრამით არის შედგენილი,—ლიტერატურულ ნაწერებს შიგა და შიგ ორიოდე საფუძვლიანი კრიტიკული სტატია არის ჩართული. როგორც სხვა-და-სხვა ფეროვნებით ისე შინაარსით ეს „ალმანახი“ არ დაუვარდება, თუ არ ემჯობინება კიდეცა, თავისს შარშანდელ პირველ ნაწილს. ამ პატარა წიგნს ეტყობა, რომ ჭკვიანი კაცის ნაწარმოებია, რომელიც არც ერთს პარტიას არ ეკუთვნის, და პირუთნელათ ეძიებს ჭეშმარიტებას და მაშასადამე პოეზიასაც.

ჩემი ყურადღება ყველაზე პირველათ ამ „ალმანახში“ მიიზიდა თავ. გ. თუმანიშვილის სტატიამ: „მხლანდელი ქართულ ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“ *).

*) ჩვენ ვერ ვეთანხმებით ჩვენს პატივცემულ თანამშრომელს ამ სტატიის თაობაზედ გამოთქმულს აზრში; სტატია „მხლანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მიმართულება“ ჩვენის აზრით, კრიტიკა კი არ არის, არამედ, უკაცრავად ავტორთან, ბავშური ტიტინია, გროვა ერთმანეთის მოწინააღმდეგი ფრაზებისა და უმწიფარი მსჯელობა ისეთს საგანზე, რომელიც ავტორს არ შეუსწავლია.

თუ საჭიროდ დავინახეთ, ჩვენ ამ მოკლე ხანში დაუბრუნდებით ამ სტატიას და ვეცდებით ამ ჩვენი აზრის დამტკიცებას. რედ.

ეს სტატია არა ჰგავს შარშანდელ მწერლობის გადათვალიერებას, საჩქაროდ დაწერილსა, ეს თვით კრიტიკაა ქართულ ჟურნალ-გაზეთობისა ამ უკანასკნელ თხუთმეტ წლიწადის განმავლობაში. აქ ავტორი გვიმტკიცებს, რომ ამ ათიოდ წლის წინ ჟურნალ-გაზეთებს სულ სხვა მიმართულება ჰქონდა ვინემ ეხლა. უწინ ჟურნალ-გაზეთობა იყო ხალხის ქადაგი და წინამძღომელი, ის სულდგმულობდ ახალ-აზრებით და სცდილობდა ეს აზრები საზოგადოებისთვის გადაეცა; კერძო რამ შემთხვევა ან ამბავი არ მიიქცევდა იმის ყურადღებას, თუ არ ღედა-აზრის დასამტკიცებლათ. ესეთები იყვნენ „საქართველოს მოამბე“, „დროება“ (ამ სამ თუ ოთხ წლის წინათ), „კრებული“, „მნათობი“ და „ივერია“; ესენი სცდილობდნენ გაეღვიძათ ჩვენი საზოგადოება და წაეყვანებინათ ახალს გზაზე. ახლა კი იცვალა ჟამი. ჟურნალ-გაზეთობა შეიქმნა ცარიელი ამბების, კორრესპონდენციების და გან-

ეს ბულო-ალა პირველად მომხრე იყო იმ პარტიისა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგობას იჩენდა. მაგრამ როდესაც დაბრუნდა თბილისიდამ, სადაც იმას მოეფერნენ, გამოიცვალა თავის პოლიტიკური მიდრეკილება და ამის გამო იმან გადაიმტერა ხალხი. ჩვენის დროს მოკლეს ის, ხალხი გაიფანტა და მოთავეები ჭოროხის მარჯვენა ნაპირზე გაიქცნენ.

„ჯარის გაგზავნამ დააშოშმანა ხალხი. ზემო და ქვემო აჭარელებმა გამოუცხადეს ოკრუღის უფროსს—რომ ისინი სრულებით რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ არ არიან, რომ ისინი მხოლოთ მეჯლისებს ემდურებიან, და ამის გამო ითხოვეს, რომ მეჯლისის წევრები და აგრეთვე სხვა ადგილობრივი მცხოვრებლებიდამ თანამდებობის პირები გამოსცვალონ.

„ადგილობრივი ოკრუღის უფროსის მოხსენებით კი არეულობის მიზეზი ის არის, რომ ოსმალეთიდამ გზავნიან ბათუმის მაზრაში პოლიტიკურ ემისარებს, რომელნიც ცუდ ხმებს ავრცელებენ რუსის მთავრობაზე და ოსმალეთში გადასახლებას ურჩევენ ხალხს.

„ართვინის ოკრუღში უწესოება მოახდინეს მურღულის ხევის მცხოვრებლებმა, რომელთაც არ გაუშვეს ბურიის ქვეითა დრუჟინის კამანდა სოფ. ნაქალაქევში და ბამკაში დასაყენებლად. ამ გარემოების მიზეზად ის იყო, რომ აქაურ ხალხში გავრცელებულია ხმა, რომ ოსმალეთსა და რუსეთს შუა სამზღვარი მდ. ჭოროხზე გადის. დაახლოვებით გარემოების გამოძიების დროს აღმოჩნდა, რომ მურღულის ხევში ოსმალოებს გამოუგზავნიათ ცალკე მუდირი, რომელიც დაიარაღებული ამალით დაიარება ართვინსა და ბორჩხას შუა სოფლებში და არწმუნებს ხალხს, რომ მდ. ჭოროხის მარცხენა მხარე სულ ოსმალეთს ეკუთვნის და არა რუსეთსა, რუსებს არ დაემორჩილოთო. ამას დაყენებული ჰყავს სოფლის ყარაულები ართვინის და ბორჩხისკენ. ამათ ჩასაგონებლად ართვინიდამ რამდენიმე გავლენიანი კაცი გაგზავნეს; მაგრამ მუდირის ყარაულებმა უპატიურება მიაყენეს ამათ, ჩხუბი მოუვიდათ და ამ დროს რამდონიმე კაცი მძიმედ იყო დაჭრილი.

„ამის გამო ჩვენ პოსტებს (მოყარაულე კამანდებს), რომელიც ყველგან მომატებულია ახლა, ბრძანება აქვთ მიცემული, რომ თავიანთ ადგილიდამ ფეხი არ მოიცვალონ; მაგრამ თოფ-იარაღი კი მხოლოთ იმ შემთხვევაში იხმარონ, როდესაც დაიარაღებული ხალხი თავს-დაესხმება იმათ. ამავე დროს მოსამზღვრე ხალხის მოქმედება ვაცნობეთ ოსმალეთის მთავრობას.

„ჩვენ საჭიროთ დავინახეთ ასე გაფრთხილებით და მშვიდობიანად ვიმოქმედოთ ერთის მხრით იმიტომ, რომ ჯერ სამზღვრები არ არის გაყვანილი და მეორეს მხრით იმიტომ, რომ მივიღეთ მხედველობაში ხასიათი ადგილობრივი ხალხისა, რომელიც ოსმალეთის მთავრობის დროს მიჩვეულია მოურიდებლად მოქმედებას! ამის გამო ჩვენი ადმინისტრაცია მკაცრ ზომებს არ ხმარობს; ის ცდილობს, რომ ხალხი მორჩილებასა და წესიერებას მიაჩვიოს.“

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი ქუთაისიდამ, რომელშიაც აწერილია იქაური სატუსაღოს ურიგო მდგომარეობა. ვბეჭდავთ ამ წერილს იმ იმედით, რომ ვისიც რიგია მიაქცევს ყურადღებას ამ მდგომარეობის გაუმჯობესობას:

„ამ იანვრის შუა რიცხვებში, ქუთაისის სატუსაღო ციხიდამ გაათავისუფლეს ტყვეობიდამ ერთი ჩემი ნაცნობი პირი. იმან ბევრი უწესოება მიამბო სატუსაღო ციხის შესახებ, რომლიდამაც ზოგიერთები მომყავს:

„ეს ზამთარი ისე მიჩანჩალობს, რომ ქუთაის სატუსაღო ციხეში არესტანტებისათვის ერთ დღესაც არ დაუნთიათ ცეცხლი. მიზეზი? ფიჩხები არ შეუკეთებიათ, მეტი არაფერი. იმის მეტი არაფერი უნდა თურმე, რომ ერთ დილას კალატოზები მიიყვანონ, შეაკეთონ ფიჩხები და საღამოს ცეცხლი გააჩინონ!

„ფეხის-ადგილები ისეა გაოხრებული და გაფუჭებული, იგეთი ჯოჯოხეთური სიმყრალით არის აქოთებული, რომ ადამიანს იქ... არამც თუ ადამიანს—დორსაც კი დაეკარგება ყნოსვა, რომ ათ მინუტს გაჩერდეს. ადვილად შეიძლება, რომ ამისთანა აყროლებულმა კუნჭულმა გესლიანი ჭირი გააჩინოს და მთელ ქუთაისს მოსდვას. ამას გამოზაფხულზე შევიტყობთ, როცა პაპანაქება სიცხე დადგება.

„თვეში სორჯელ უნდა ჰქონდესთ არესტანტებ აბანო და მასთან გლეხკაცებს სახელმწიფო საპონი უნდა ეძლევოდეს. ეხლა თვეში ერთხელაც არა აქვსთ, რომ ჭუჭყიანი ტანი გაიწმინდონ და ტანისამოსი გაირეცხონ. როცა აბანოა, გლეხ-კაცებს საპონს აღარ აძლევენ და ვერც ყიდვას ახერხებენ.

„დღიურ საზრდოთ არესტანტებს (გლეხკაცებს) თერთმეტ-თერთმეტი კაპეიკი ეძლევათ და ხან ნაკლები, როცა კარგი მოსავალია და ხორაგეულობა იეფობს. ყოველ თვისა და თვის თავს რამოდენიმე თუმანი მორჩება ხოლმე ამ კაპეიკებიდამ, საყოველთაო ხარჯის ფულებიდამ. არესტანტებმა დღესაც არ იციან—შეაქვს ვისმეს ეს მორჩენილი ფული ისევ ხაზინაში, თუ თავის ჯიბეში ვინმე აჩხრიალებს? რიგი და წესია, რომ არესტანტებმა ამ მორჩენილი ფულებით ისარგებლონ: გააუმჯობესონ მათი მცირე და ისიც ცუდი ხარჯი. უკანასკნელი, ამ ფულებით შაბი მაინც იყიდონ, რომ მღვრიევე წყალი გასწმინდონ და ისე დალიონ.“

*** გაზეთი „ობზორი“ გვაცნობებს, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს თ. სვიატოპოლკ-მირსკის შეუმსუბუქებია სასჯელი პეტრე ორბელოვისა, მა-

---

ცხადების შემკრთოვებელად, ჩამოვიდა ქადაგის კათედრიდამ და გავიდა ქუჩაში ჭორიკანაობისთვის(?)!. და თუ ამ უფერულ ტიტინში მოისმის ზოგჯერ ქადაგი სიტყვა, რას გაუწყებს თუ არა ძველს ჭეშმარიტებას, რომელიც ათის წლის წინათ გვესმოდა იმისგან.

„მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, ამბობს ავტორი, რომ ვერც ერთ ისეთ ჭეშმარიტებას ვერ იტყვით თქვენ დღეში, რომელიც კი როდისმე არ თქმულიყოს, და ყოველი ჭეშმარიტება ითვლება ახალ ჭეშმარიტებად მხოლოდ მაშინ, როცა იმას ჯერ ვერ შერიგებია ხალხი“.

„ამიტომაც ზემოხსენებულ ნაწერების სიტყვები მიგვაჩნია ახლ სიტყვებათ თუმც ისინი არა ერთხელ წარმოუთქვამ თავისებურად ადრეც. დიახ, მკითხველო „საქართველოს მოამბის“ და პირველ დროინდელ „დროების“ შემდეგ ჩაგვირბინა ათმა თხუთმეტმა წელმა, მას აქეთ ბევრი მითომ ცვლილება მომხდარა ჩვენ ცხოვრებაში: გლეხები გაანთავისუფლეს, ახალი სასამართლო შემოიღეს, ქალაქებს მიანიჭეს თვით-მმართებლობა და სხვ., მაგრამ დახე ჩვენ დაუნდობელ ბედს, თხუთმეტის წლის წინათ ნითქვამ სიტყვებს განგვიმეორებენ და ჩვენ ისეთ ალტაცებაში მოვყავართ იმათ, როგორც ადრე. ძველებური განკიცხვა, ძველებური ქადაგობა ასე გგონია მოგონილნი არიან დღევანდელ დღისათვის, ასე გგონია წინ ფეხი არ გადაგვედგას ამ უკანასკნელ თხუთმეტიოდ წელს და ვტრიალებდეთ ერთ ადგილას. ის ბატონები, რომელთ წინააღმდეგ ქადაგობდა ამდენი ხანი უკეთესი ქართული მწერლობა, დღეს გამოდიან ახალ სარჩულიან კაბებში და ამაყად დამღერიან: „არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად“.

„ჩვენდა სამწუხაროთ, იგივეს ვერ დამღერის ქართული ჟურნალ-გაზეთობა.“

ასე ათავებს თავ. გ. თუმანიშვილი თავის სტატიას. მკვახე სიტყვაა, მაგრამ მართალი და პირდაპირი, და როგორც მახსოვს პირველათ არის გამოთქმული ჩვენს კრიტიკაში. ეს ყვედრება დიახაც საფუძვლიანია და ვისაც შეეხება, რასაკვირველია, თავის ადრესით მიიღებს, მაგრამ მე მინდა ცოტა. . . ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის გამართლება კი არ მინდა,—მაგისთანა ძნელს, მძიმე და შეუძლებელ საქმეს მე არას დროს არ ავიღებ, მე მინდა მხოლოდ ერთი შენიშვნა დაურთო თავ. გ. თუმანიშვილის სტატიას.

წარმოიდგინეთ ქადაგი, რომელიც თავის კათედრიდამ ჰკიცხავს და ჰგმობს კაცის ბიწიერებას, დასტირის მის სისუსტეს და ცოდვებსა, უღვიძებს პატიოსანს გრძნობას, ჩააგონებს ახალს იდეას, გამოუხატავს ნეტარს ცხოვრებას; მისი სიტყვა მახვილი და მწვავეა და თვით ღმერთი ლაღადებს მის პირით, და ხალხი... ხალხი კი გულ-გრილათ ზურგს უქცევს. ისევ სიანჩხლე, დევნა და გაქვავება სჯობია ამ გულ-გრილობას! და როდესაც

თე როსტევანოვისა და მიორე ჯობინოვისათვის, რომელთაც სამხედრო სასამართლომ, როგორც მოგვხსენებთ, სიკვდილით დასჯა გარდაუწყვიტა კაცის კვლისა და სხვა-და-სხვა ავაზაკობისათვის; სიკვდილით დასჯის მაგიერ თ მირსკის გაუჩენია იმათთვის სამუდამოდ ციმბირში გაგზავნა კატორღაში.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ უფ. სტ. მელიქიშვილის სტამბაში იბეჭდება პაკაკის ვოდევილი „ბუტიაობა“ და ამ დღეებში გამოვა.

⁂ ფოჩტის უწყება გვაცნობებს, რომ კავკასიის მთებში კობისა და გუდაურისაკენ ამ ჟამად ჩინებული ტაროსებიაო, თოვლი ცოტა სძევსო და არც ყინვებიაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**საგარეჯო, 9 იანვარს.** „ივერიაში“ იყო ამას წინათ მოყვანილი ჩვენი მამასახლისის ჩადენილი ოინები, რისთვისაც გუბერნიის უპრავლენიიდგან იყო დანიშნული საკუთარი ჩინოვნიკი უ. ერისთავი საქმეების გამოსაძიებლად. ერისთავმა გამოიძია და მრავალი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა რევაზოვისა (მამასახლისისა). ხალხმაც გარდასწყვიტა, რომ რევაზოვს არ შერჩებოდა ოინები, ის დაისჯებოდა და საკვლაოთ მამასახლისები გაფრთხილდებიანო.

ჩვენ არაფერი ვიცოდით თუ რითი გათავდა ის გამოძიება. ახლა როცა ახალი მამასახლისი დადგა, ამან მოინდომა, რო ყველა სოფლის აწეწილი საქმეები წესიერებაში მოეყვანა; შეჰყარა სახალხო ყრილობა, ყრილობას გამოუცხადა საცოდავი მდგომიარება პურის მაღაზიისა და მგლებისაგან ფულების შეჭმისა, სთხოვა ყრილობას, ამოერჩია თორმეტი კაცი, რომლებსაც შეედგინათ ძველი და ახალი შემოსავალ-გასავლის ანგარიშები და ნათლათ გამორკვეული საქმე ჩაებარებინათ მამასახლისისათვის. ყრილობამ ამოირჩია საიმედო ხალხი, მიანდო მათ ყოველივე სასოფლო საქმეების წარმოება მამასახლისის თავსმჯდომარეობით. ამ თორმეტმა კაცმა გარდასწყვიტა ყოველ კვირა უქმობით ყრილობა იქონიონ შკოლის სახლში და ყოველივე შემოსავალ-გასავლის საქმეები ამათ აწარმოვონ, რო ისე აღარ დალუპონ სოფლელნი, როგორც აქამდისინ ღუპავდნენ მოხელები.

პირველი სხდომა ამათი იყო 31 დეკემბერს და გარდასწყვიტეს:

1) ყველა მათგანი ყრილობაში უსათუოთ დაესწროს; უკეთუ რაიმე შეუწყნარებელის მიზეზით არ დაესწრობა, მაშინ მას გადახდება სამი მანეთი ჯარიმა.

2) სთხოვეს მასწავლებელს, რომ იმას მიელო ყოველ მათ ყრილობაში მონაწილეობა და მოხმარებოდა მათ ანგარიშების შედგენაში, (მასწავლებელმა ამაზედ სრული თანხმობა გამოუცხადა):

3) მოიკითხეს პურის მაღაზიის მოთავე კაცები და მოსთხოვეს მათ ყოველივე საბუთები, თუ რამდენი კოდი პური იყო თავ-და-პირველად შეკრებილი და ახლა რამდენია თავის სარგებლით. ბევრი ეცადნენ, მაგრამ ვერაფერი საბუთი ვერ აღმოაჩინეს; სთქვეს, რო ყველა ის სიები, რომელი სიების ძალითაც პური მოიკრიფა თავ-და-პირველად, ჰქონდა ნაპრისტავალ უ. ნათიევსაო. აბა ნათიევისაკენ ხელი გაიშვირეს და რაღას მოეწევიან! მხოლოდ შეკრიბეს ნუსხები, ვისზედაც პური ყოფილა გასესხებული; იქიდგან გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ 1872 წლიდან 1874 წლამდინ თავის სარგებლით უნდა ყოფილიყო ხუთას-ოც-და-ორი კოდი პური.

4) მიანდეს სულთანოვს და ანდრია ჭიაურელს, რომ მათ მოიყვანონ მეორე სხდომაზედ ძველი მამასახლისი რევაზოვი, რომელმაც თან უნდა მოიტანოს ყველა თავისი საქმეები, ესე იგი სამი წლის სახელმწიფო ხარჯის სიები 1876, 1877 და 1878 წლებისა, აგრეთვე ზეგრების და მელიცონჯერების ხარჯის სიები და საბალახის დავთრები;

5) ამავე დროს მამასახლისმა მავანტალაშვილმა სთხოვა ყრილობას, რომ მოესმინათ მისგან შემოტანილი განცხადება, რომელიც თვითონ მასწავლებელმა წაუკითხა, სადაც მამასახლისი სთხოვდა, რო ყოველივე სასოფლო შემოსავალი ფულისათვის დაენიშნათ საკუთარი კასსა, და ის კასსა შენახულიყო ივერის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის ბანკში და აღარ ყოფილიყო სასოფლო ფულები კერძო-პირების ხელში. ამასთანავე სთხოვდა ყველა მეკომურს ორღობეები და გზები თავთავიანთ მამულების მიჯნებისა შეენახათ სუფთათ; დამარღვეველთ ამა წესისა გადახდეთ ჯარიმა საზოგადო კასის სასარგებლოთ. განცხადება მამასახლისისა ძალიან მოეწონათ და დაამტკიცეს მისი თხოვნა.

მეორე სხდომა შესდგა იანვრის შვიდს; აქ წარმოადგინეს ძველი მამასახლისი რევაზოვი, მოსთხოვეს მას სიები და დავთრები შემოსავალ-გასავლისა; რევაზოვმა ყველა ამათ მოთხოვნილებაზედ უარი ჰყო. „მე ანგარიში მარშანვე გავათავე, სოფელმა მიანგარიშა და სოფლის არა დამედო-რაო“. ამოიღო ჯიბიდგან ქაღალდი შემოწმებული რევაზოვისა და სუდიებისგან, საიდგან სჩანდა, რომ ყრილობას ამოერჩია მხოლოდ რევაზოვის მეგობრები თორმეტი კაცი, რომლებსაც უნდა ეანგარიშნათ პურის მაღაზია და მამასახლისისათვისაც; მამასახლისისათვის უანგარიშნიათ და პურის მაღაზიისთვის თავი დაუნებებიათ, რომელიც დაარსებიდან აქამდინ უპატრონოდ გდებულა. მამასახლისს ეს თორმეტი კაცი აძლევს ქაღალდს, რო უანგარიშეს მას შემოსავალ-გასავალი სოფლის საბალახისა და მას არაფერი არ დაედო; არა სჩანს თუ რამდენი იყო შემოსავალი და რამდენი გასავალი.

რევაზოვს აუხსნეს, რომ, წესით, ანგარიში მაშინ უნდა ყოფილიყო, როცა

---

ყოველი ცდა აგრეთვე უნაყოფოთ იკარგება, რომელი ადამიანი გაუძლებს ამ განსაცდელსა? ქადაგი რაც უნდა ნიჭიერი იყოს, რაც უნდა ახალი და ჩინებული აზრები იქადაგოს, იმის ღვაწლს არავითარი შედეგი არ ექნება, თუ ხალხი არ თანაუგრძნობს.

იგივე კავშირი არსებობს მწერლების და საზოგადოების შუა. მწერლობა გინდ საზოგადოების მიმყოლი და მსახური იყოს, მის ცხოვრების და აზრების გამომთქმელი და გამომსახველი, თუ გინდ ხალხის წინამძღომელი და მასწავლებელი, მაინც საზოგადოების გავლენას ვერ წაუვა, მწერლობის არსებობა არ შეიძლება, თუ საზოგადოება არ თანაუგრძნობს მას. ჩვენი მწერლობა კი რას ხედავს, თუ არ უგუნურ გულ-გრილობას? რამ მოკლა „საქართველოს მოამბე“, „კრებული“ და „მნათობი“, თუ არ საზოგადოების გულ-გრილობამ? განა ჩვენი ქართველობა იმას დასდევდა რას იტყოდა „საქართველოს მოამბე“ ან „ცისკარი“, რა უნდოდა „კრებულს“ და რა—„მნათობსა?“ სრულებითაც არა. იმას მხოლოდ ის ახარებდა და აცინებდა, რომ ილია ჭავჭავაძემ ივ. კერესელიძე გამოლანძღაო, ალ. ფურცელაძემ ნიკოლაძეს კრიტიკა დაუწერაო. იდეების ბრძოლა და პარტიების ბაასი რაღაც თამაშათ შეიქნა. ყველამ იცის როგორ გაიგო ჩვენმა საზოგადოებამ უკეთესი ილ. ჭავჭავაძის თხზულება— „კაცია ადამიანი“.—ეს ამბავი უთუოთ ამა და ამ კაცზე არის დაწერილიო, დარეჯანი სწორეთ ჩვენი ნათლიდედის დედამთილის პორტრეტიაო. და ნიჭიერი სატირა ასე სოფლის ჭორათ გახადეს.

რომელი ნიჭიერება, რომელი შრომა და გულ-მოდგინეობა აიტანს ამისთანა უგუნურ გულ-გრილობას, ვინ იქნება ის ადამიანი, რომელიც ამ მდგომარეობაში არ დაკარგავს ენერგიას და იმ იდეის რწმუნებას, რომელსაც თაყვანს სცემდა? რა ქადაგება შეიძლება, თუ ხალხი ტაძრიდამ გარბის ჯამბაზის საყურებლათ? რა ლიტერატურა შეიძლება ჩვენში, რომელსაც საზოგადოებას ჭორების და ენატანიობის მეტი არა ესმის რა! ქართველ მწერლების მდგომარეობა ისე უიმედო არ იქნებოდა, თუ ჰყოლოდათ მათ მემკვიდრენი, თუ დარწმუნებული ყოფილიყვნენ, რომ მწერლობის საქმე თან არ ჩაჰყვებათ მათ სამარეში. ამას კი უნდა მოველოდეთ, რადგანაც მწერლების რიცხვი ამ თხუთმეტ წელიწადს იკლებს და არა მატულობს.

მაგრამ მე ვხედავ, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთობის გამართლება დავიწყე და დავივიწყე, რომ მე წინათვე უარი ვსთქვი ამ საქმეზე; ამიტომაც აქვე შევწყვეტ ამ საგანზე ლაპარაკს და გადავალ „ალმანახის“ სხვა ნაწერების გარჩევაზე.

ა.

(შემდეგი იქნება)

ახალი მამასახლისი დადგებოდა და საქმეს იმას ჩააბარებდნენ; ახლა შენ მოვალე ხარ სრული ანგარიში ჩაგვაბარო და ჩააბარო ახალს მამასახლისს. რევაზოვი სიებზედ უარს ჰყოფდა, ანგარიშების შემდეგ სრულიად დავწვიო, მხოლოდ კვიტანციები ხაზინისა მაქვს, რომლებსაც წარმოგიდგენთო. მაგრამ ამათთვის ხაზინის კვიტანციები კი არ იყო საჭირო, არამედ სიები, რითაც ფულს ჰკრეფავდნენ ხალხში, მეტადრე ზეგრების და მილიციონერების ფულისა, რომლითაც ანგარიშობენ ოთხას თუმანს მოკრეფილს და არ იციან ვის და რაში მისცა ეს ფულები.

ამაზედ ნაკლები ოინები არარც მამასახლისის თანაშემწეს სოლომან პავთუაშვილს ჩაუდენია: როდესაც ხაზინაში ფულს გაატანდნენ, ზოგს წარადგენდა და ზოგს ნედოიმკათ გაუშვებდა სოფელზედ, რომელსაც მეორე წელს ზეკუციით ახდევინებდნენ სოფელსა! ერთხელ გაეტანებინათ მისთვის საკანტორო ფული სამას თუმნამდინ იმ დროს, როდესაც საეკლესიო მამული შეირიცხა სახელმწიფოდ; პავთუაშვილს ეს ფული არ წარედგინა, მესამე წელს პრისტავი, უ. ნათიევი, დაეცა საგარეჯოს ჩაფრებით და ეს ფული სამი დღის განმამავლობაში მოკრიფა, პავთუაშვილს ზოგი მაშინვე გამოართვეს, ზოგი აპატიეს და ოთხმოც-და-ათის თუმნისა ბარათი ჩამოართვეს, რომელიც აქნობამდინ ერთ კაცს ჰბარებია; როდესაც ეს კაცი ხმას ამოიღებდა, პავთუაშვილი ლუკმას მიუგდებდა და გააჩუმებდა. ეს კიდევ არაფერი; იმას ჰქონია მინდობილი ნახევარ საგარეჯოს ხალხში ხარჯის მოკრეფის სიებიც, სადაც თვითეულს კომლზე წაუმატებდა ორს და სამს მანეთს, როგორც ამას წინათ აღმოაჩინა ახალმა მამასახლისმა. ეს კაცი ახლაც არ იშლის ბოროტ-მოქმედებას.

აი ასეთ ოინებს სჩადიან და პატრონი არავინ არის. კარგი იქნებოდა, რომ მთავრობას თავის მხრივ საიმედო ჩინოვნიკი დაენიშნა ამ სოფლიდგან ამორჩეულ კაცებთანვე. ის ოთხმოც და ათი თუმანი რომ საზოგადოებამ პავთუაშვილს გადაახდევინოს, კარგი რამ სასოფლო საქმე გაკეთდებოდა, და საკუთრად სხვებიც აღარ გაბედავდნენ სასოფლო ფულის შეჭმას. თუ ახალა ეს საქმე როგორმე კარგ ნიადაგზედ დადგა, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ბოლოც კარგი ექნება, არა მარტო საგარეჯოში, არამედ ამ ხეობის სოფლებშიაც, რადგან საგარეჯო აქ გავლენიანი სოფელია.

ურიცხვი დამსწრე.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

პარიჟის გაზეთებში დაბეჭდილია, რომ სახალხო განათლების მინისტრისაგან შედგენილის პროექტით, 1881 წლიდამ შემოღებული უნდა იქმნეს საფრანგეთში ძალდატანებითი სწავლა ყველა სასოფლო შკოლებში. ამ პროექტის ძალით, ყველა ფრანცუზი, ვისაც კი შვილი ჰყავს,ვალდებულია, რომ უეჭველად გაგზავნოს ის სოფლის შკოლაში ან შინ ასწავლოს წერა-კითხვა მაინც; და რომელი დედ-მამაც ამას არ აასრულებს, იმას, კანონით, სამჯერ ჯარიმა გადახდება ფულით და მეოთხეჯერ ჩამოერთმევა პოლიტიკური უფლება.

## ინგლისი და ავღანი

ინგლისურს გაზეთს „დეილი ნეუსში“ დაბეჭდილია ტაშკენტიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვატყობინებს, რომ ავღანის ემირი შირ-ალი ცდილობდაო, რომ რუსეთი მოხმარებოდა იმას ამ გაჭირებაში და როგორმე მოერიგებინა ის ინგლისთანაო; მაგრამ, რუსეთმა პირ-და-პირ გამოუცხადაო, რომ იმას ამ შემთხვევაში არაფერი შემწეობის აღმოჩენა არ შეუძლიან.

ამის გამო შირ-ალიმ გადაწყვიტაო, რომ ისევ თავის ქვეყანაში დაბრუნდეს და თვითონვე ეცადოს ინგლისთან მორიგებას.

## ავსტრია

ვენიდამ იწერებიან, რომ 10 იანვარს მისულა იქ გერმანიის მმართებლობისაგან გაგზავნილი კაცი, რომელსაც მინდობილი აქვს ავსტრიის მთავრობასთან მოილაპარაკოს იმ ღონის-ძიებაზე, რომელიც ამ ორმა სახელმწიფომ უნდა იხმარონ იმისთვის, რომ რუსეთიდამ ამ ქვეყნებში ჭირი არ გავრცელდეს.

მოგეხსენებათ, რომ გერმანიის მთავრობამ სხვათა შორის უკვე გამოსცა განკარგულება, რომ თუ იმათ ელჩისაგან შემოწმებული პასპორტი არ ექნება, ისე რუსეთიდამ არავის შეუშვებენ გერმანიაში. ამბობენ, ავსტრიაც ამგვარ განკარგულების მოხდენას აპირებსო. ისმის აგრეთვე, რომ ავსტრია და გერმანია კარანტინის გამართვას აპირებენო.

# განცხადებანი

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირ ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ზალის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. ზარემე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

(5—5)

| რკ. გზა. | დილ. | | სადამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამ. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

## ფოჩტა

ა) ტფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ჩუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნია . . . . . . . . . | 4 |
| დახშულის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ტფილისი, 26 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. ზანზახა, ფთ. | 1 | 70 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 25 |
| ბამბა ერევ ნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტ ... ი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 90 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 99 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, ბროწ. ფუთი . | 7 | 50 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 60 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ... ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, ხაშული ფთ. | 6 | 80 |

## ტფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვრიშვილის სახლებში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ზალევიჩი — შინაგ. ავათ., ქირურგიც — საჯარო ექიმი და სამშობლოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი — შინაგ. ა. ბ ხუტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ., ქირურგიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი — შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.